საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 43 (1057) | სამშაბათი, 9 აპრილი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

გაზაფხულდა!

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილისა.

გვჭირდება ბევრი და მაღალხარისხოვანი ინვენტარი

ჩვენ ბევრს ვწერთ სპორტული ბაზების მშენებლობის შესახებ და მოვითხოვთ, რომ ისინი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით იქნან აღჭურვილი, მოხერხებული როგორც სპორტსმენების, ისე მაყურებლებისათვის. წელს ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. სულ მალე მწყობრში ჩადგება ბევრი საჭიდაო სარბიელი, ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკი და სხვ.

სპორტული ბაზის აგება მეტად სასარგებლო საქმეა, მაგრამ როგორ აღვჭურვოთ ისინი სათანადო ინვენტარით, სად ვიშოვნოთ ტანვარჯიშული, მძლეოსნური იარაღები, ლეიბები და ხალიჩები მოჭიდავეებისათვის, რინგი მოკრივეთათვის, ბურთები მოძრავი თამაშების მოყვარულთათვის? როგორ თუ სად! — გვიპასუხებენ. — ამისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც რესპუბლიკას ამარაგებენ სპორტული ინვენტარით, — და მიგვითითებენ „კულტსნაბზე“, ცეკავშირზე, „დინამოს“ სპორტული იარაღების ქარხანაზე, სპორტული ნაწარმის ფაბრიკაზე.

როგორ ასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას? დავიწყოთ ცეკავშირიდან.

ეს ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად რაიონებს ემსახურება, ჯეროვნად ვერ წარმართავს ამ საქმეს, ვერ ანაწილებს სპორტულ საქონელს მოთხოვნილების მიხედვით. ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: ცეკავშირმა წალკიდან ჩამოიტანა და თბილისის სპორტსაქონლის მაღაზიას მიჰყიდა ტანვარჯიშის იარაღების მთელი კომპლექტი, რომელიც წალკის რაიუნივერმაღში წლების მანძილზე ელაგა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი შეისყიდეს წალკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დავალებით თბილისში ჩამოსულმა ამხანაგებმა. ან კიდევ ასეთი ფაქტი: ხულოს მაღაზიაში რამდენიმე წელს ინახებოდა ფეხბურთის კარის ბადეები მაშინ, როდესაც ხულოში ფეხბურთის მოედანიც კი არ იყო. ეს ორი ფაქტი იმას მოწმობს, რომ ცეკავშირი სათანადოდ არ იცნობს, არ სწავლობს რაიონების ფიზკულტურელთა მოთხოვნილებებს, ამასთან რაიონში შეზიდულ სპორტულ საქონელს არ უკეთებს რეკლამას. სწორედ ამიტომ ადგილებზე არც კი იციან რა საქონელია შემოზიდული რაიონში.

ცეკავშირი რაიონებიდან იღებს მოთხოვნებს საჭირო ინვენტარზე. ეს საქმე რომ სათანადოდ მოგვარდეს, მაშინ ინვენტარის განაწილება უფრო გეგმაზომიერად წავა. მაგრამ მოთხოვნის გამოგზავნას ძალიან ვაჭიანურებთ ანდა სერიოზულად არ ვეკიდებით. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონმა ცეკავშირს გამოუგზავნა 600.000 მანეთის ინვენტარის მოთხოვნა, ხოლო ხაშურის რაიონმა — 4 ათასის. გაურკვეველია სად მიაქვს გეგეჭკორის რაიონს ამდენი თანხის ინვენტარი, ხოლო ისეთ რაიონს, როგორიცაა ხაშური, ნუთუ ოთხ ათას მანეთზე მეტის ინვენტარი არ სჭირდება?

კულტსნაბი საბითუმო ორგანიზაციაა და გართულია რესპუბლიკის გარეთ ინვენტარის შეძენით. დედაქალაქში მხოლოდ ორი მაღაზია ვაჭრობს სპორტული ინვენტარით. მესამე მაღაზიას (პლეხანოვის პროსპექტზე) მხოლოდ აბრაზე აწერია „სპორტული საქონელი“ — აქ ქალის ჯემპრების, მუსიკალური საკრავებისა და ფოტოაპარატების მეტი არაფერი იყიდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსთაველის პროსპექტსა და ლენინის სახელობის მოედანზე არსებულ მაღაზიებშიც გამოჩნდა ამ ბოლო ხანებში მაცივრები, პატეფონები და სხვა „სპორტული ინვენტარი“. ორივე მაღაზიის დირექტორებისაგან ერთნაირი პასუხი მივიღეთ: კულტსნაბი ჯეროვნად ვერ გვამარაგებს, ამიტომ სარეალიზაციო გეგმა რომ შევასრულოთ, იძულებული ვართ სხვა საქონელი შემოვზიდოთ.

თბილისში არსებობს კიდევ ერთი ობიექტი—სპორტული ნაწარმის ფაბრიკა (ყოფილი არტელი „სპორტი“). ეს ორგანიზაცია ვერ ასრულებს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას, რადგან სათანადო ორგანიზაციები მას ნედლეულით არ ამარაგებენ. აქ ასეთ კურიოზს ჰქონდა ადგილი: გასულ წელს ფაბრიკას უნდა მიეღო ნედლეული სათხილამურო კოსტიუმების დასამზადებლად, მაგრამ ვერ მიიღო. გეგმა როგორმე რომ შეესრულებინა შემოზიდა სალეიბისპირე მატერია და მთელი ზამთარი ლეიბის პირებს ამზადებდა.

აი ასე უთავბოლოდ მუშაობენ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები და რა გასაკვირია, რომ რესპუბლიკაში ინვენტარის დამზადება მეტად დაბალ დონეზე იდგეს. სავაჭრო ორგანიზაციები გართული არიან ინვენტარის სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდვით. ეს კარგია: მაგრამ საკუთარი რესურსებიც ხომ უნდა გამოვიყენოთ. ხომ ცნობილია ბამბუკები ჭოკებისათვის, მასალა ძელებისათვის საქართველოში მზადდება, აქედან გააქვთ უკრაინისა და რუსეთის ქარხნებში და იქ დამზადებული ინვენტარი შემდეგ უკანვე შემოგვაქვს.

ცხადია, ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან რესპუბლიკის სპორტსმენებს მაღალი შედეგების მოპოვებაში. მათ მიერ დამზადებული თუ შემოზიდული ინვენტარი მეტად ცოტაა და ხშირად უხარისხოც. ასე მუშაობის გაგრძელება არ შეიძლება. ჩვენ გვევალება სპორტსმენთა აღზრდა, მათი ტექნიკური მაჩვენებლების განუხრელი ზრდა. როგორ განვახორციელოთ ეს ამოცანა, თუ სპორტული ნაწარმის ფაბრიკამ მაისურების, სათხილამურო კოსტიუმების მაგიერ ლეიბის პირები დაამზადა და სარბენი ფეხსაცმელი მძლეოსანმა სტარტიდან ფინიშამდე გაცვითა?

ჩვენ გვჭირდება ბევრი და მაღალხარისხოვანი ინვენტარი. უამისოდ სპორტის ნამდვილ აღმავლობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომ საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი იქონიონ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებთან, შეისწავლონ მათი საჭიროებანი, აზრიანად გაანაწილონ შემოზიდული საქონელი და, რაც მთავარია, იზრუნონ საკუთარი რესურსების გამოყენებაზე.

ფიზკულტურისა და სპორტის განუხრელი განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ ეს მეტად მტკივნეული საკითხი დაუყოვნებლივ მოგვარდეს.

გაიმარჯვეს სტუმრებმა

რამდენიმე დღის განმავლობაში მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის დახურულ კორტებზე მიმდინარეობდა საერთაშორისო შეხვედრა ჩოგბურთში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა შორის. საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრები. ვაჟთა შორის ითამაშეს ა. იავორსკიმ (ჩეხოსლოვაკია) და ს. ანდრეევმა (სსრ კავშირი). ჩეხი ცდილობდა ხელთ ეგდო ინიციატივა, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონი თავს კარგად იცავდა და თვითონაც წარმატებით ამთავრებდა შეტევებს. პირველი პარტია მაინც იავორსკის გამარჯვებით დამთავრდა — 6:4.

როცა მეორე პარტიაში ანგარიში წაიყვანა სტუმარმა (2:0), ანდრეევის დამარცხება თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენმა გამოავლინა სიმტკიცე, მაღალი ოსტატობა და მოიგო პარტია ანგარიშით 6:3. მესამე პარტიაც საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. შესვენების შემდეგ გაიმართა მეოთხე პარტია, რომელიც მოიგო ი. იავორსკიმ. გადამწყვეტ პარტიაში უკეთ ითამაშა ჩეხმა სპორტსმენმა და გაიმარჯვა.

დაძაბული გამოდგა აგრეთვე წყვილთა თამაში ვაჟთა შორის. იავორსკისა და პარმას წინააღმდეგ გამოვიდნენ ანდრეევი და ოზეროვი.

სტუმრები გააზრებულად მოქმედებდნენ და ტექნიკურადაც ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეებს. გაიმარჯვეს ჩეხმა სპორტსმენებმა.

საბჭოთა სპორტული ფოტოს დაჯილდოება

ამას წინათ, ამსტერდამში ნიდერლანდების ფოტოკორესპონდენტების ასოციაციის ინიციატივით გაიხსნა მეორე საერთაშორისო ფოტოგამოფენა. გამოფენაზე უხვადაა წარმოდგენილი ფოტოგრაფიის ოსტატთა ნამუშევრები, რომლებიც გამოგზავნილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, საბჭოთა კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან. სულ გამოფენაში მონაწილეობენ 19 ქვეყნის ფოტოკორესპონდენტები.

„სპორტის“ განყოფილებაში პირველი ჯილდო მიენიჭა ს. პრეობრაჟენსკის (საბჭოთა კავშირი) სურათს „ფრენბურთის თამაში“.

მატჩი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 6 აპრილს შედგა XIV პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა პირველად გამოიყენა თავისი საყვარელი სადებიუტო სისტემა — ფრანგული დაცვა. დებიუტის 8 სვლა დაემთხვა რეშევსკი-ბოტვინიკის იმ პარტიას, რომელიც 1948 წელს მსოფლიო ჩემპიონის სახელზე მატჩ-ტურნირში გათამაშდა. სმისლოვმა (თეთრებით) უფრო მწვავე გაგრძელება მონახა, ვიდრე გროსმაისტერი პ. კერესი გვთავაზობს თავის წიგნში მატჩ-ტურნირის შესახებ. როქის შემდეგ გაირკვა მოწინააღმდეგეთა გეგმები: სმისლოვი უტევდა მეფის, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი ლაზიერის ფრთას.

სმისლოვმა ეტლის პაიკის წინსვლით ნაწილობრივ დაასუსტა შავი მეფის მისადგომები, მაგრამ მეორე ფრთაზე მოქნილი კონტრშეტევით ბოტვინიკმა აიძულა იგი სასწრაფო ზომების მისაღებად ჯერ მოკლე როქი გაეკეთებინა, ხოლო შემდეგ მრავალი ფიგურა გაეცვალა. როდესაც დაფაზე კვლავ სიმშვიდე ჩამოვარდა იგრძნობოდა მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა ლაზიერის ფრთაზე. სადაც მას ორი პაიკი ერთის წინააღმდეგ ჰყავდა.

ეტლებისა და ლაზიერების გაცვლის შემდეგ ბოტვინიკმა ცენტრალურ ვერტიკალზე სმისლოვს პაიკები გაუორა და თვითონ გამსვლელი პაიკი მიიღო. პარტიის გადადების წინ, 39-ე სვლაზე ბოტვინიკს შეეძლო სამ პაიკში მხედრის შეწირვა, მაგრამ მისი შედეგი ძნელი გასათვალისწინებელი იყო. ამიტომ მან მშვიდობიანი გაგრძელება არჩია.

ამ დღეს პარტია გადაიდო. 7 აპრილს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა მისი დამთავრება. ბოტვინიკი დასაწყისშივე სმისლოვის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და რამდენიმე სვლის შემდეგ მას ყაიმზე შეუთანხმდა.

XIV პარტიის შემდეგ ლიდერობს ვ. სმისლოვი. ანგარიშია — 7,5:6,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტულ საზოგადოებებში

პირველი პლენუმი

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ხელმძღვანელობას უწევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობათა, მტს-ების, ცეკავშირის სისტემაში შემავალი ორგანიზაციებისა და მათი ტიპის ყველა სასწავლებლების ფიზკულტურელთა საქმიანობას. ამდენად იგი ყველაზე დიდი სპორტსაზოგადოებაა რესპუბლიკაში და თავის რიგებში აერთიანებს 2.178 ძირეულ კოლექტივს 116.675 ფიზკულტურელით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საზოგადოების ძირეული კოლექტივების რიცხვი გაიზარდა 370-ით. საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და სამომხმარებლო კოოპერაციებთან მარტო შარშან ჩამოყალიბდა 101 ახალი ძირეული კოლექტივი.

„უროჟაის“ „კოლმეურნესთან“ შეერთებამ, რაც გასული წლის ივლისში მოხდა, საქართველოს სოფლის სპორტსმენებს საშუალება მისცა ერთგვარი წარმატებები მოეპოვებინათ ფიზკულტურასა და სპორტში, მაგრამ ცენტრალურ, საოლქო და რაისაბჭოების ყოველდღიურ საქმიანობაში ჯერ კიდევ იგრძნობა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც ნათლად გამოვლინდა ამას წინათ ჩატარებულ რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ კონფერენციებზე.

ბევრგან არაორგანიზებულად მოეწყო ანგარიშგება-არჩევნები. დმანისის რაიონში ვერ უზრუნველყვეს კონფერენციის დროულად ჩატარება, რის გამოც იგი განმეორებით დაინიშნა, ხოლო ფოთში დღემდე ვერ შეძლეს მისი მოწყობა. ბევრ რაიონში კონფერენციები ისე ჩაატარეს, რომ არ მოუსმენიათ ძირეული კოლექტივების ანგარიშგება-არჩევნები. ასე იყო ბოგდანოვკის რაიონში, სადაც 20 ძირეული კოლექტივიდან მხოლოდ 12-ში მოეწყო საანგარიშო კრებები.

ბევრგან კოლმეურნეობათა გამგეობები არასათანადო ზრუნვას იჩენენ ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდისადმი, არ აწყობენ მოედნებს, არ იხდიან იურიდიულ საწევროს. ასე მოიქცნენ დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე იორდანიშვილი) და მარნეულის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შაბანოვი) გამგეობები. იყო არა ერთი და ორი შემთხვევა, როცა კოლმეურნეობათა გამგეობებმა გადახნეს არსებული სპორტული ბაზები. 1955 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებში გადახნულ იქნა 30 კეთილმოწყობილი მოედანი. გასულ წელს კი ძირეული კოლექტივების დაუდევრობით სპორტნაგებობათა საერთო რიცხვს კიდევ 17 ბაზა გამოაკლდა. ყობულეთის რაიონის ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში გათვალისწინებული სპორტული დარბაზი გადატიხრეს და შიგ სასოფლო საბჭო შეასახლეს.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და მასზე დაყრდნობის გარეშე ძნელია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ წარმართვა ძირეულ ორგანიზაციებში. ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა შორის. დღეისათვის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მიერ რესპუბლიკაში მომზადებულია 1.524 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ე. ი. 700-ზე მეტ ძირეულ კოლექტივს არც ერთი ინსტრუქტორი არა ჰყავს. საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მწვავე ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდიან გორის, ხაშურის, წულუკიძის, ჩხოროწყუს, კასპის, წალკის, ახმეტის, ამბროლაურისა და სხვა რაიონებში.

დმანისისა (საბჭოს თავმჯდომარე ოქრუაშვილი) და ასპინძის (ცინცაძე) ძირეულ კოლექტივებში არც ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი არ ჰყავთ, ხოლო თეთრი წყაროს რაიონში (ვანიევი) — არც ერთი მსაჯი.

რესპუბლიკურმა საბჭომ დღემდე ვერ მოაგვარა საზოგადოებრივი კადრების მომზადებისა და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების საქმე. არ აქვთ მათი ზუსტი აღრიცხვა. ცუდადაა საშტატო მუშაკთა განაწილებისა და მათი აკადემიური მომზადების საკითხი. რესპუბლიკური საოლქო და რაიონული საბჭოების 101 საშტატო მუშაკიდან უმაღლესი სპეციალური განათლებითაა მხოლოდ 24. დღემდე ვერ შეძლეს სოფლის ფიზკულტურელთა საქმიანობაში სოფლის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების ფართოდ ჩაბმა.

როგორც ცნობილია, ფიზკულტურულ მუშაობაში მთავარია მასობრიობა, რის გარეშე სპორტტექნიკური მაჩვენებლების ზრდაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამ მხრივ ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურელებმა, გაიზარდა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, მაგრამ მძლეოსნობაში, ველოსპორტსა და ცურვაში ამ მხრივ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან. არასათანადო სიმაღლეზეა სასწავლო-საწვრთნელი საქმიანობა.

რესპუბლიკური საბჭო არასათანადო ყურადღებას აქცევდა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარით გათვალისწინებულ შეჯიბრებათა ჩატარებას. შარშან გეგმით გათვალისწინებული 12 ღონისძიებიდან მოეწყო 8 რესპუბლიკური პირველობა. სასწავლო-სპორტული მუშაობა განსაკუთრებით ჩამორჩება მთიან რაიონებში. ცაგერის მთელ რიგ ძირეულ კოლექტივებში მთლიანად ჩაშლილია ეს საქმე.

ბევრ რაიონში ფორმალურად არსებობენ სექციები. რესპუბლიკურ საბჭოში წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობით აბაშის რაიონში კალათბურთში ჩაბმულია 169 ფიზკულტურელი, ფრენბურთს მისდევს—486, ჭადრაკს — 314 სპორტსმენი. ადიგენის რაიონში ჭიდაობის, ფეხბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციებში ჩაბმულია 500-ზე მეტი ფიზკულტურელი. მაგრამ ამ რაიონებში არც ერთი თანრიგოსანი არ მომზადებულა აღნიშნულ სახეობებში. ცხადია, სექციები აქ მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ანალოგიური მდგომარეობაა დმანისის, დუშეთის, ვანის, კასპის, კაჭრეთის, საჩხერის, ტყიბულისა და სხვა რაიონებში.

ყველა ზემოჩამოთვლილ ფაქტებზე დაყრდნობით აგო თავისი მოხსენება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ლოკაძემ. მოსალოდნელი იყო, რომ პლენუმზე მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიშლებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

პლენუმი ვერ დააკმაყოფილა „კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის შ. დვალაძის გამოსვლამ. იგი შეეცადა აფხაზეთის „კოლმეურნის“ სუსტი მუშაობა გადაებრალებინა ძირეული საბჭოების, კოლმეურნეობათა გამგეობების, რაისაბჭოების თავმჯდომარეებისათვის. იმაზე კი არაფერი თქვა, რომ აფხაზეთის საოლქო საბჭოს უყურადღებობით ერთ დროს მოწინავე ოქუმის ფიზკულტურული კოლექტივი დაშლის პირამდეა მისული, გაპარტახდა სპორტული ბაზები, სპორტდარბაზი საწყობად გადააქციეს.

„კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჩხარტიშვილმა ილაპარაკა სპორტის მასობრიობის ხელშემშლელ პირობებზე. იგი განსაკუთრებით შეჩერდა სპორტში ქალების ჩაბმის სიმცირესა და ბაზების მოუწყობლობის საკითხებზე. აღნიშნა, რომ გასულ წელს აჭარაში სოფლის ფიზკულტურელებიდან არც ერთ ქალს არ ჩაუბარებია მშთ ნორმატივი. ქედისა და შუახევის რაიონებში ძირეული კოლექტივების უმეტესობა ფიქტიურია, სპორტის სახეობებიდან აქ განსაკუთრებით ჩამორჩენაა მძლეოსნობის განვითარებაში, რაც ბაზების უქონლობით, მწვრთნელთა ნაკლებობითა და ინვენტარის სიმცირით იქნა ახსნილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ვ. ყაჯრიშვილმა (სიღნაღი), პ. მიქაძემ (დიდი ჯიხაიში), კ. მამედოვმა (მარნეული), თ. სხირტლაძემ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), გ. ტაბუევმა (სამხრეთ ოსეთი).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ვ. ვექშინმა (ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილება).

„ლოკომოტივის“ კონფერენციაზე

გაიმართა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ კონფერენცია, რომელზეც საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე რ. ნაბალაშვილი.

რკინიგზის სამტრედიის განყოფილების „ლოკომოტივის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. მანჯგალაძემ მკაცრად გააკრიტიკა სამტრედიის განყოფილების სარემონტო კანტორა, რომელიც დაუშვებლად აჭიანურებს სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონის სარემონტო სამუშაოებს. მწვრთნელი ველოსპორტში დოლიძე თავის გამოსვლაში შეეხო ველოსპორტის ჩამორჩენის მიზეზებს და აღნიშნა, რომ ცუდადაა საქმე სპორტული ინვენტარით მომარაგების საქმეში. რკინიგზის სოხუმის განყოფილების „ლოკომოტივის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ კვარაცხელიამ „ლოკომოტივის “საგზაო საბჭოს უსაყვედურა ის, რომ რეგულარულად არ ატარებს შეჯიბრებებს. თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის მასწავლებელმა ეგნატაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ არ ზრუნავს ნიჩბოსნობის განვითარებისათვის, როცა მას საამისო პირობები გააჩნია. საჭიროა, თქვა მან, საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ დაბა ბაკურიანში მოაწყოს სათხილამურო ბაზა რკინიგზელ ფიზკულტურელთა შორის სპორტის ამ სახეობის ფართოდ დანერგვისათვის. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე პროკოფიევი და რკინიგზის ერევნის განყოფილების „ლოკომოტივის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე გრიგორიანი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ფედიუშინმა და პროფკავშირების ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ყორყოლაძემ.

ძალოსნობის ფიცარნაგზე

თელავსა და ზესტაფონში დამთავრდა საქართველოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში. გამარჯვებისათვის იბრძოდა 19 გუნდი. პირად ჩათვლაში გამოდიოდა 155 სპორტსმენი.

მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ ხელი შეუწყო სპორტსმენთა მაჩვენებლების ზრდას. შეჯიბრებაზე დამყარებულ იქნა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს 14 და რესპუბლიკის ერთი რეკორდი.

უმჩატეს წონაში ფიცარნაგზე გამოვიდა 20 მონაწილე. იმის გამო, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრი, „კოლმეურნის“ რეკორდსმენი რ. დათიკაშვილი წარუმატებლად გამოვიდა ატაცში, სადაც „0“ შეფასება მიიღო, პირველობა მოიპოვა ა. ჩოლოკიანმა (აფხაზეთი). მან სამჭიდში 262,5 კგ მოაგროვა. სამაგიეროდ რ. დათიკაშვილმა აჭიმა 90 კგ, რითაც 2,5 კგ-ით გააუმჯობესა საზოგადოების რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ცენტრალური საბჭოს ოთხი რეკორდით აღინიშნა შეჯიბრება ქვემსუბუქ წონაში. ძველი რეკორდი სამივე მოძრაობასა და სამჭიდში ეკუთვნოდა მახარაძელ დ. მალაზონიას. აიჯერად თბილისელმა ა. გრიგორიანმა, რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა, აჭიმა 95 კგ., რაც 5 კგ-ით აღემატება ძველ რეკორდს. აიტაცა 90 კგ (ძველი რეკორდი უდრიდა 80 კგ-ს) და აჰკრა 120 კგ შტანგა და 10 კგ-ით გააუმჯობესა მანამდე არსებული რეკორდი. სამჭიდში 305 კგ-ის მოგროვებით მან 25 კგ-ით გადააჭარბა ცენტრალური საბჭოს რეკორდს.

კიდევ ორი შესწორება შეიტანეს რეკორდების ცხრილში მსუბუქი წონის ძალოსნებმა. ერთი მათგანი ეკუთვნის პირველ ადგილზე გამოსულ ზესტაფონელ მ. ასლანიძეს, რომელმაც აიტაცა 100 კილოგრამი, მეორე — ფოთელ ძალოსანს მ. მინასოვს.

ქვესაშუალო წონაში უძლიერესი იყო აჭარის გუნდის წარმომადგენელი ი. გოგიტიძე. ამ წონით კატეგორიაში გასული წლის ჩემპიონი და რეკორდსმენი ი. ყუბანეიშვილი საკუთარი წონის მომატების გამო ამჯამად საშუალო წონაში გამოვიდა. სამივე მოძრაობა აღინიშნა რესპუბლიკური საბჭოს რეკორდების გაუმჯობესებით. მან აჭიმა — 115, აიტაცა — 112,5 და აჰკრა — 142,5 კგ. სამჭიდის შედეგია — 370 კგ.

შემდეგში ყუბანეიშვილმა მსაჯთა კოლეგიას თხოვა ნება დაერთო შეესრულებინა მოძრაობა რესპუბლიკური რეკორდის გასაუმჯობესებლად აკვრაში. შტანგაზეა 152,5 კგ. თავის ძალებში დარწმუნებულმა სპორტსმენმა გაბედულად შეასრულა მოძრაობა. წონა აღებულია. გაუმჯობესდა 1939 წელს აბაშმაძის მიერ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 150,5 კგ-ს უდრიდა.

კ. ხატიაშვილის ყველა მიღწევა საშუალო წონაში ამოიშალა ცენტრალური საბჭოს რეკორდების ცხრილიდან, მაგრამ მას ბრძოლისათვის თავი არ დაუნებებია. მან ამ ჩემპიონატში წვემძიმე წონაში გადაინაცვლა და იერიში მიიტანა ა. ნიქაბაძის რეკორდებზე. მისი ცდა აჭიმვაში, ატაცსა და სამჭიდში წარმატებით დამთავრდა. მასვე მიენიჭა პირველი ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა აფხაზეთმა, რომელმაც 31 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის (53 ქულა), მესამეზე — თელავის (59 ქულა) გუნდი.

ო. ივდოშვილი

★

ამას წინათ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში გადაწყვიტეს საამქროებში დანერგონ საწარმოო ტანვარჯიში. მეთოდისტმა კ. ქუმსიშვილმა გულდასმით შეისწავლა კომბინატის შესაძლებლობანი, ჩაატარა მუშა-მოსამსახურეთა საექიმო შემოწმება, გააცნო მათ ტანვარჯიშის მნიშვნელობა და საქმიანობას შეუდგა. ახლა კომბინატის ხაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელ, საქსელე და სხვა საამქროებში ყოველდღიურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, რომელმაც საგრძნობლად ასწია ფეიქართა შრომისუნარიანობა. მალე იგი კომბინატის ყველა თანამშრომლის ყოველდღიურ მოთხოვნად გადაიქცევა.

• • •

სურათებზე: საწარმოო ტანვარჯიში მოსამზადებელ (ზევით) და საქსელე საამქროებში.

ფოტო შ. კუკულავასი.

★



ანგარიში არ გახსნილა

ქუთაისი. ქალაქის სტადიონი. 7 პრილი.

„ლოკომოტივი" (ქუთაისი) — ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — :0.

„ლოკომოტივი" (ქუთაისი) — ვაჭაძე, კვახაძე, გაიხარაშვილი, ეტრიაშვილი, ჯეჯელავა, ბობოხიძე, იოსელიანი, სორდია, ოვივიანი, გომელაური, პატარაია.

„ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — პეტროვი, ბონდინი, გალპერინი, სინიცინი, შესტაევი, რიაბენკო, ლინდე, ვასილიევი ლუკაჩევი, ვოსტრიუხინი, ნიკოლაევი.

მსაჯი — მ. ედიგარიანი (ერევანი).

ქუთაისის „ლოკომოტივის" მეორე ჩის საკავშირო პირველობაზე მრა- ოვანი მაყურებელი დაესწ- . ისინი მოელოდნენ საინტერესო, აბულ თამაშს, მოელოდნენ თავი- ი გუნდის ახალ წარმატებას. ულშემატკივართა იმედები არ გა- თლდა. თამაში ძირითადად უინ- რესოდ მიმდინარეობდა, რასაც მი- ანგარიშიც (0:0) კარგად მოწმობს. უთაისელებმა თამაში შეტევით წყეს. მეკარე პეტროვი მალე ჩაე- თამაშში. მე-6 წუთზე სორდიამ ე მოძრაობით უკან ჩამოიტოვა ელი და მოწინააღმდეგის კარს მი- ლოვდა. საჯარიმო მოედნის ხაზ- თვი წაიქციეს, რისთვისაც დაი- ნა საჯარიმო. ჩელიაბინსკელთა არემ იოლად მოიგერია დარტყმა. 18 წუთზე გაიხარაშვილმა ბურთი ინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ოდა. აქ გალპერინის შეცდომით რგებლა ოვივიანმა, დაეუფლა ით და პირისპირ გავიდა მეკარეს- . გოლი თითქოს გარდუვალი იყო, რამ თავდამსხმელის მიერ ძლიე- დარტყმული ბურთი სულ მცირე ძილით აცდა კარს. დაიკარგა ანგა- ის გახსნის აშკარა შანსი, რომე- ვ. უნდა ითქვას, ერთადერთი რეა- ი შესაძლებლობა იყო მთელი ვედრის განმავლობაში. მცირე შემდეგ კვლავ ძლიერად ურტ- ნ კარში გომელაური და ოვივია- მაგრამ მათი დარტყმები ნაჩქარე- და არაზუსტია. სტუმრებმა მალე ასწორეს თამაში და მასპინძლების ევებს კონტრშეტევით უპასუ- მაგრამ მათი დარტყმებიც არაზუ- იყო. შეხვედრის პირველი ნახევ- დასასრულისათვის უპირატესო- კვლავ ქუთაისელთა მხარესაა, მაგ- კარის აღების უკანასკნელ სტადიაში ისინი აგვიანებენ დარტყმებს, ზედმეტად აწოდებენ ერთმანეთს ბურთს საჯარიმო მოედანზე, რითაც სარგებლობდნენ მოწინააღმდეგე მცველები და იოლად იგერიებდნენ შეტევებს. რაც შეეხება სტუმრებს, მათ პირველ ნახევარში არც ერთი მომენტი არ შეუქმნიათ ქუთაისელთა კართან, რომელიც შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო.

შესვენების შემდეგ ჩელიაბინსკელები 15 წუთის განმავლობაში უტევდნენ ქუთაისელთა კარს, ისინი ცდილობდნენ ფლანგებიდან განევითარებინათ იერიშები, მაგრამ მათი ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 30-ე წუთისათვის ჯეჯელავას მაგივრად მინდორზე გამოდის ანთიძე, ხოლო ლინდეს ცვლის კოლონოვი. სტუმართა ერთ-ერთი შეტევის დროს ტრავმა მიიღო მეკარე კვაჭაძემ, რომლის ადგილი დაიკავა ქარჩავამ. თამაშის უკანასკნელ წუთებზე ნათელი გახდა, რომ ჩელიაბინსკელებს ეს ანგარიში სავსებით აკმაყოფილებდა და ისინიც ყოველმხრივ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ქუთაისის „ლოკომოტივმა" ეს შეხვედრა თავის შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარა. არ იგრძნობოდა კოლექტიურობა. გარდა ამისა, გუნდი ამ დღეს შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა.

შ. ქირია,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: ქუთაისის სტადიონის საერთო ხედი.

ფოტო ბ. მალლაფერიძისა

მოგებულია მნიშვნელოვანი მატჩი

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 7 აპრილი.

ოსკ (თბილისი) — ოსკ (სვერდლოვსკი) — 2:1 (1:0).

ოსკ (თბილისი) — ჭანტურია (ივანოვი), ჭანჭალეიშვილი, თორაძე, სიჭინავა, ხუნდაძე, მიროშნიკოვი, მიქაძე, ნორაკიძე, მელაშვილი (ბაბაევი), კურტანიძე, ბეგლარიანი.

ოსკ (სვერდლოვსკი) — სმირნოვი, კონცევოი, სუეტოვი, ბაგრიჩი, მოისეევი, გლადკიხი, ტუფატულინი, ჩერემუშკინი (ბროვკინი), პოტასკუევი, კევეროვი, სკულკინი.

მსაჯი ნ. ბალაკინი (კიევი).

თბილისისა და სვერდლოვსკის საოლქო სპორტული კლუბების გუნდებს „ძველი ანგარიშები" აქვთ ერთმანეთთან. ორი წლის წინათ ეს ორი გუნდი იყო „ა" კლასში გადასვლის ყველაზე უეჭველი კანდიდატი და მატჩს მათს შორის, რომელიც სეზონის დასასრულს შედგა, უნდა გადაეწყვიტა თუ რომელი გადავიდოდა უძლიერესთა რიგებში. მაშინ შეხვედრა თბილისელებმა სუსტად ჩაატარეს, დამარცხდნენ და „ა" კლასში სვერდლოვსკის გუნდი მოხვდა.

მაგრამ სვერდლოვსკელები მცირე ხანს—მხოლოდ ერთ სეზონს დაყოვნდნენ ზედა ჯგუფში და კვლავ დაუბრუნდნენ „ბ" კლასს. გასულ კვირას ისინი შეხვდნენ თავის ძველ მეტოქეს. მატჩს მეტად პრინციპული ხასიათი ჰქონდა.

პირველი 10 წუთი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. სტუმრები დაჟინებით ცდილობდნენ გამოეთიშათ თამაშიდან მოწინააღმდეგის მთავარი „კომბინატორი" — ნორაკიძე. მაგრამ ნორაკიძე, როგორც ყოველთვის, კარგად ირჩევდა ადგილს კომბინაციების საკვანძო ეტაპზე, ინდივიდუალურ ბრძოლაში სჯობნიდა თავის „დარაჯს" გლადკიხს და ზუსტი გრძელი გადაცემებით გაჰყავდა კარის წინ პარტნიორები. ასევე მოფიქრებულად, მაღალტექნიკურად თამაშობდა მეორე შუამარბი — კურტანიძე და გუნდის ახალი წევრი მიროშნიკოვი, რომელიც ჩინებულად შეეწყო არმიელთა კოლექტივს. ყველაფერი ეს თბილისელებს მძლავრ ცენტრს უქმნიდა მინდვრის შუაგულში და საშუალებას აძლევდა მტკიცედ ჰქონოდათ ხელთ ინიციატივა.

მალე დაიწყო მასპინძელთა ხანგრძლივი, მწვავე იერიშები. თამაში სულ უფროდაუფრო უახლოვდებოდა სტუმრების კარს, სადაც მჭიდრო ურთიერთდაზღვევით თამაშობდნენ მცველები სუეტოვის ხელმძღვანელობით. ძნელი ბურთი აიღო მეკარე სმირნოვმა კურტანიძე-ბეგლარიანის კომბინაციის შემდეგ, ხოლო ერთი წუთის შემდეგ მან დატოვა კარი და წინ გავიდა მელაშვილის შესახვედრად. თბილისელმა მეკარეს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი, მაგრამ იგი კარს სულ მცირე მანძილით აცდა.

30-ე წუთზე ნორაკიძემ კომბინაცია წამოიწყო საჯარიმო მოედნიდან 20-25 მეტრის დაშორებით. სმირნოვმა ერთხელ კიდევ დატოვა კარი ბურთის ასაღებად, მაგრამ ბეგლარიანმა ზუსტად გამოიანგარიშა მისი მოძრაობა და კვლავ თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი. დარტყმა ამჯერად უშეცდომო აღმოჩნდა — 1:0.

სტუმრებმა არ დააყოვნეს საპასუხო იერიშზე გადასვლა. თამაშმა ერთხანს თბილისელთა მხარესაც გადმოინაცვლა. მაგრამ მოწინააღმდეგის დაცვა სვერდლოვსკელებისათვის გაუვალი აღმოჩნდა. თორაძე, ჭანჭალეიშვილი, ხუნდაძე შეთანხმებულად იგერიებდნენ შეტევას, კვალიფიციური თამაში აჩვენა სიჭინავამაც, რომელიც ამ დღეს კვირკველიას ნაცვლად თამაშობდა მარცხენა მცველად. რამდენიმე ხნის უშედეგო შეტევის შემდეგ სტუმრებმა შორი მანძილიდან სცადეს გოლის გატანა: ძლიერად ურტყამდნენ კარში კევეროვი პოტასკუევი, სკულკინი. ყველა ამ ბურთებს მშვიდად, დარწმუნებულად იღებდა მეკარე ჭანტურია.

ტაიმის დასასრულს ინიციატივა კვლავ თბილისელებმა აიღეს ხელთ, კვლავ სრული ძალით ამოძრავდა თავდასხმა, სადაც მარჯვენა მხრიდან რამდენიმეჯერ გავიდა გარღვევაზე მიქაძე, კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს მელაშვილმა და კურტანიძემ.

54-ე წუთზე სტუმართა კარში დანიშნულ იქნა პენალტი — კარის წინ გასული ბეგლარიანი უხეშად მოცელა სუეტოვმა. ბეგლარიანმა ზუსტად, ძლიერად დაარტყა 11-მეტრიანი კარის მარცხენა კუთხეში და გაიტანა მეორე გოლი.

უპირატესობა 2 ბურთით თბილისელებმა საკმარისად მიიჩნიეს და მოადუნეს თამაში. თავდამსხმელები აღარ თამაშობდნენ ისე აქტიურად, როგორც დასაწყისში, ისინი ხშირად კარგავდნენ ბურთს და საშუალებას აძლევდნენ მოწინააღმდეგეს განევითარებინა კონტრშეტევა. 68-ე წუთზე ზედიზედ სამი ძნელი ბურთი აიღო ჭანტურიამ, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კევეროვი გაექცა მცველებს მარცხენა მხრიდან და შორ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:2.

ანგარიში 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ აღარ შეცვლილა. მათ მოიგეს ეს მეტად საპასუხისმგებლო, პრინციპული მატჩი.

ზ. ცინცაძე

ათამაშების ცხრილი

დგომარეობა 9 აპრილისათვის
ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რტაკი" მ.	2	1	1	0	2:1	3
ჯ მ ო	1	1	0	0	3:1	2
რპედო" მ.	1	1	0	0	2:0	2
რტაკი" მინ.	1	1	0	0	2:0	2
ნამო" მ.	1	1	0	0	2:1	2
კომოტივი" მ.	1	1	0	0	1:0	2
ნიტი" ლ.	2	1	0	1	1:2	2
ტიორი" ხ.	1	0	1	0	0:0	1
ნამო" კ.	1	0	0	1	0:1	0
ნამო" თბ.	2	0	0	2	2:4	0
სოვეტ." კბ.	1	0	0	1	1:3	0
რევესტნიკი" კიშ.	2	0	0	2	0:3	0

* * *

დესა. 6 აპრილი. მორიგ მატჩში კავშირის პირველობაზე აქ ერთ- ის შეხვდნენ მინსკის „სპარტა- და ლენინგრადის „ზენიტი". ჩი მოიგო „სპარტაკმა" — 2:0.

ჭადრაკი

ზონალური ტურნირი

საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირზე II ტურის შემდეგ მრავალი დაუმთავრებელი პარტია დაგროვდა. ამიტომ 6 აპრილს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მოხდა მათი დამთავრება.

კალაშიანმა არ მოისურვა ბრძოლა უიმედო პოზიციაში და დანებდა სარდაროვს, ხოლო ზლაგიძემ გიტერმანთან პარტიაში მხოლოდ ერთი სვლა გააკეთა, რის შემდეგ მოწინააღმდეგეს ყაიმზე შეუთანხმდა. არონინი შეეცადა ჰალილბეილისთან ფიგურების უკეთესი განლაგების გამოყენებას, მაგრამ ამაოდ. აზერბაიჯანელმა ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია. მეორე გამარჯვება მოიპოვა სარდაროვმა, რომელმაც ადვილად შეძლო ზუსლაევთან დიდი მატერიალური უპირატესობის რეალიზაცია. მოლდავეთის ჩემპიონმა გიტერმანმა კარგად ითამაშა ძნელი ენდშპილი შიშოვის წინააღმდეგ და 61-ე სვლაზე გაიმარჯვა. ყაიმით დასრულდა ნაფტალინ-ბაილეს შეხვედრა.

III ტურში დამთავრდა მხოლოდ ექვსი პარტია. არონინმა ბაილესთან ენდშპილში იშვიათი დახვეწილობით ითამაშა და 37-ე სვლაზე დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. გრიუნფელდის დაცვაში ზლაგიძემ ტაიმანოვთან თამაშისას დაასუსტა საკუთარი მეფის ფრთა და ვერ მონახა თამაშის სწორი გეგმა. ამით ისარგებლა გროსმაისტერმა და 42-ე სვლაზე მოიგო პარტია.

სომხეთის ჩემპიონმა მიასნიკოვმა დაასუსტა რა თავის პოზიციაში თეთრი უჯრები, კალაშიანს მეფეზე ლაზიერით და კუთი იერიში მიატანინა. ეს თავდასხმა კალაშიანმა ენერგიულად ჩაატარა და გაიმარჯვა. მძიმე ცაიტნოტში გიტერმანი სარქისიანთან ძლივსღა ასწრებდა სვლების გაკეთებას. ბოლოს მან ლაზიერი წააგო და დანებდა. ყაიმით დამთავრდა კაკიანი-დემურიას და ქუხოვიცკი-ჰალილბეილის პარტიები. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

მ. სტატნიკოვა — თბილისის ჩემპიონი

თბილისში, რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ერთთვიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა დედაქალაქის 1957 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე.

ჩემპიონის საპატიო სახელისათვის ბრძოლაში თავიდანვე დაწინაურდნენ გამოცდილი პირველთანრიგოსნები ქ. გოგიავა, ლ. ნაჭყებია, და ნორჩი მოჭადრაკე მ. სტატნიკოვა და თ. ყორყოლაძე. მაგრამ ტურნირის მეორე ნახევარში ლიდერობა ხელთ იგდო მ. სტატნიკოვამ და შეჯიბრების ბოლომდე შეინარჩუნა.

თბილისის ნორჩმა ჩემპიონმა მარინე სტატნიკოვამ 15 შესაძლებლიდან 12,5 ქულა მოაგროვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი საქართველოს 1956 წლის ჩემპიონია მოსწავლე გოგონათა შორის. მეორე ადგილზე გავიდა ლ. ნაჭყებია, რომელიც ჩემპიონს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა.

მესამე ადგილი მოიპოვა 49-ე საშ. სკოლის მოსწავლე თ. ყორყოლაძემ (11,5 ქულა).

რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ქ. გოგიავა 11 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა. მეხუთე ადგილი დაისაკუთრა მოსწავლე მ. ლილიშველმა (9,5 ქულა).

დედაქალაქის ჩემპიონატში გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ საქართველოს 1957 წლის საჭადრაკო ჩემპიონატში. ამ ტურნირში დაშვებული არიან აგრეთვე საქართველოს გასული წლის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაბაძე, მ. ტოგონიძე, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა ქალაქების უძლიერესი მოჭადრაკე ქალები.

საქართველოს 1957 წლის პირველობა ქალთა შორის ჭადრაკში დაიწყება თბილისში მაისის პირველ რიცხვებში.

თ. ნინოშვილი

ორი ქვეყნის მოჭიდავეთა შეხვედრა

ტრადიციად იქცა საბჭოთა და ფინელ მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრები. ჩვენი სპორტსმენები ბევრჯერ გამოსულან ფინეთის ქალაქების საჭიდაო ხალიჩებზე, ასევე ამ ქვეყნის მოჭიდავეებს ხშირად უმოგზაურიათ საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

ამას წინათ მოსკოვში, სპორტის სასახლეში, გაიმართა ამ ორი ქვეყნის გუნდების შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში.

უმჩატეს წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ჰეიკი ჰაკალა და სსრ კავშირის ჩემპიონი ვალენტინ შიროკოვი. 15 წუთის განმავლობაში ინიციატივა საბჭოთა სპორტსმენის მხარეზე იყო და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. მსოფლიოს 1953 წლის ჩემპიონმა ბორის გურევიჩმა მოუგო ფინელ რეის ნიუკანენს.

დაძაბული გამოდგა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეების სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ სტაშკევიჩისა და უძლიერესი ფინელი მოჭიდავის მატი ლააკსოს ორთაბრძოლა. ჭიდაობა მე-11 წუთზე დამთავრდა, როცა ვ. სტაშკევიჩმა მოწინააღმდეგე ბეჭებით დააკრა ხალიჩაზე.

ახალგაზრდა ავთანდილ ქორიძისათვის ფინელ ერმო ვია ჰასეირინკთან შეხვედრა დებიუტი იყო საერთაშორისო სარბიელზე. პირველ ექვს წუთში ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება. [illegible] საბჭოთა სპორტსმენმა [illegible] ლამაზი ილეთი ჩაატარა, რომელმაც ჭიდაობის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ძალზე დაძაბული გამოდგა ფინეთის ექვსგზის ჩემპიონის აიეკო რაინტეინენის და შაზამ საფონის შეხვედრა. გაიმარჯვა საბჭოთა მოჭიდავემ. წარმატებით ჩაატარა თავისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა ვ. რეკოვმა. მან დაამარცხა ფინეთის სამგზის ჩემპიონი, XVI ოლიმპიადის პრიზიორი ვილიე პუნკარი. მხოლოდ 3 წუთი და 10 წამი დაჭირდა ქვემძიმე წონის მოჭიდავე არკადი ტკაჩოვს, რომ სუფთა გამარჯვება მოეპოვებინა ფინეთის რვაგზის ჩემპიონ კალერვო რაუჰარაზე. საბჭოთა გუნდის ვეტერანმა და მისმა კაპიტანმა იოჰანეს კოტკასმა, რომელიც ამ დღეს 118 კილოგრამს იწონიდა, 4 წუთსა და 41 წამში დაამარცხა ფინეთის ჩემპიონი ერკი მიაკი-კიჰნიე.

ორი ქვეყნის მოჭიდავეთა საერთაშორისო შეხვედრის ანგარიშია 8:0 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

* * *

სურათზე: ი. კოტკასისა (ზევიდან) და ე. მიაკი-კიჰნიეს შეხვედრა.

წვრთნის, დაღლისა და გადაწვრთნის შესახებ

სისტემატური წვრთნა იწვევს როგორც ორგანოთა სისტემების ფუნქციათა შეცვლას, ისე მთლიანად ორგანიზმის გარკვეულ გარდაქმნას: მაგრდება ძვალ-სახსროვანი აპარატი, მოცულობაში მატულობს კუნთოვანი მასა, იზრდება კუნთების აღგზნებადობა და ლაბილობა, კუნთები უფრო ელასტიკური ხდება. სუნთქვა იშვიათდება წუთში 16-18-დან 8-12-მდე, მატულობს გულმკერდის ექსკურსია, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა და სხვ.

ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის ზრდა, გარდა სქესისა, დამოკიდებულია სპორტსმენის ასაკზე, გაწვრთნილობასა და სპორტის სახეობაზე. ტანმოვარჯიშეთა შორის იგი საშუალოდ 3.700 კუბ. სმ უდრის, მოცურავეებში და ნიჩბოსნებში — 4.500-5.000 კუბ. სმ, ველოსიპედისტებში, მოთხილამურეებში და კალათბურთელებში — 4.500-4.600 კუბ. სმ, მძლეოსნებში 3.800-5.000 კუბ. სმ.

სისხლის არტერიული წნევა გრძელსა და მარათონულ მანძილებზე მორბენლებს დასვენებულ მდგომარეობაში დაქვეითებული აქვთ 105/60-დან 85/40-მდე. მოკლე მანძილზე მორბენლებში კი სისხლის წნევა უცვლელი რჩება. გულის კუნთის ჰიპერტროფიის შედეგად შესამჩნევი ხდება გულის ოდნავი გადიდება, უფრო მეტად დიდდება გულის სიგრძივი ზომა.

წვრთნის შედეგად მატულობს სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა, მატულობს აგრეთვე ჰემოგლობინის რაოდენობა, იცვლება სისხლის ქიმიური შემადგენლობაც. გაწვრთნილი სპორტსმენის ორგანიზმი ფიზიკური ვარჯიშისას ნაკლებ ოფლს გამოყოფს, ვიდრე გაუწვრთნელისა, გაწვრთნილი სპორტსმენი მაღალი შრომისუნარიანობით ხასიათდება, მას შეუძლია ხანგრძლივი და ინტენსიური მუშაობა. გაწვრთნილი სპორტსმენი ნაკლები ენერგიის დახარჯვით გაცილებით მაღალ სპორტულ შედეგს აღწევს, ვიდრე გაუწვრთნელი ასეთივე მუშაობით. წვრთნის შედეგად უმჯობესდება ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობანი.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტულ წვრთნას მხოლოდ მაშინ მოჰყვება შედეგი, თუ იგი მეთოდურად სწორად ტარდება, ამიტომ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

წვრთნის დროს რამდენჯერმე უნდა კეთდებოდეს ერთი და იგივე მოძრაობანი დატვირთვის თანდათან მომატებით, ამით ორგანიზმს გამოუმუშავდება გამძლეობა, იგი გახდება უფრო ძლიერი, უფრო მოქნილი.

წვრთნა უნდა ტარდებოდეს მთელი წლის მანძილზე და სისტემატურად. იგი უნდა იყოს ყოველმხრივი, სპეციალიზაციის გათვალისწინებით და მასზე ძირითადი ყურადღების გამახვილებით. საწვრთნელ ვარჯიშებში ჩართული უნდა იყოს მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, სპორტული თამაშები და სხვ.

სპორტსმენისათვის, განურჩევლად მისი სპორტული სპეციალიზაციისა, სავალდებულოა სისწრაფის, ძალის, გამძლეობისა და სისხარტის გამოსამუშავებელი ვარჯიშების სისტემატური შესრულება.

სპორტული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სპორტსმენის ინდივიდუალური თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, მათდამი მიდგომაც ინდივიდუალური უნდა იყოს.

ზემოაღნიშნული ელემენტების ერთმანეთისაგან დაშორება არ შეიძლება. ეს პრინციპი დაცულ უნდა იქნას როგორც დამწყებ, ისე კვალიფიციურ სპორტსმენთა საწვრთნელი ვარჯიშების დროს.

ორგანიზმის ფუნქციური უნარიანობის საჭირო მიმართულებით წარმართვა სპორტსმენისაგან მოითხოვს თავისთავზე დიდ მუშაობას (წვრთნას) და ენერგიის მაქსიმალურ დაძაბვას. ფიზიკურ მუშაობას, მის შესრულებას გარკვეულ მანძილზე, როგორც წესი, დაღლა მოსდევს, რაც შესამჩნევად ამცირებს ადამიანის შრომისუნარიანობას. მაგრამ გაწვრთნილთა შორის, მიუხედავად ორგანიზმის მაქსიმალური დატვირთვისა, დაღლა იშვიათად ვრცელდება.

დაღლა ან დაქანცვა არ არის მარტო რომელიმე ორგანოს ან ორგანოთა სისტემის მუშაობის უნარიანობის დაქვეითება. იგი მთელ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ერთობლივი შედეგია. მთავარი როლი აქ ცენტრალურ ნერვულ სისტემას მიეკუთვნება. დაღლის დროს სხვადასხვა სისტემასა და ორგანოს შორის ირღვევა კოორდინაცია და კუნთების ნივთიერებათა ცვლის რეგულაცია. სპორტის სხვადასხვა სახეობაში სხვადასხვა ინტენსიობით მუშაობის დროს დაღლის სურათი სხვადასხვაგვარია.

მაქსიმალური ინტენსიობით დატვირთვის დროს (მოკლე მანძილზე რბენა, ცურვა 50 მეტრზე და სხვ.) კუნთებში გროვდება დაღლის შედეგად წარმოშობილი მავნე პროდუქტი — რძის მჟავა, რის შედეგადაც ორგანიზმი განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას, ქვეითდება ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება, კუნთების აღგზნებადობა და ლაბილობა.

სუბმაქსიმალური ინტენსიობით დატვირთვის დროს (საშუალო მანძილზე რბენა, ცურვა, ველორბოლა, ნიჩბოსნობა და სხვ.) ცენტრალური ნერვული სისტემის გაძლიერებული მოქმედების გამო ორგანიზმი იღლება. რა თქმა უნდა, ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ჟანგბადით ორგანიზმის არასაკმარისად მომარაგება და ქსოვილებსა და სისხლში რძის მჟავას დაგროვება.

საშუალო ინტენსიობით ხანგრძლივი დატვირთვის დროს (მარათონული მანძილები) დაქანცვა ვითარდება ორგანიზმში ნახშირწყლების მარაგის დიდი რაოდენობით დახარჯვის გამო, რის შედეგადაც მანძილის უკანასკნელ ეტაპზე სპორტსმენი გრძნობს აუტანელ შიმშილს, შეიძლება დაეწყოს კანკალი და თავბრუ, ძლიერი დაქანცვის დროს კი — ჰალუცინაციები.

სპორტსმენები, რომლებიც ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს ღებულობენ, უფრო გვიან იქანცებიან, ვიდრე ცხიმებით მდიდარი საკვების მიმღებნი.

მარათონულ მანძილებზე მორბენალთათვის შიმშილის შეგრძნობისას აუცილებელია გზადაგზა შაქრით მდიდარი ხსნარის მიღება 50-100 გრამის რაოდენობით. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციების შენარჩუნებისა და გულის კუნთის მუშაობისათვის.

ხშირად სპორტსმენები შეჯიბრების ან წვრთნის დროს თავიანთ თავს უყენებენ შეუსაბამო, მზარდ მოთხოვნებს, რასაც, თუ სისტემატური ხასიათი მიეცა, შესაძლებელია მოჰყვეს უკვე მოპოვებულ სპორტულ მიღწევათა დაქვეითება.

გადაწვრთნის ნიშნები პირველ ხანებში ფსიქიკურ სფეროში გამოვლინდება: იცვლება სპორტსმენის გუნება-განწყობა, ვარჯიშებს იგი უხალისოდ ატარებს, ქვეითდება სპორტული მაჩვენებლები, ირღვევა ჩვეულ მოძრაობათა კოორდინაცია.

თუ გადაწვრთნა პროგრესულად მიმდინარეობს, ზემოაღნიშნულ მოვლენებს დაემატება წონის დაკლება, უძილობა, პულსის გახშირება, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის შემცირება, ფერმკრთალობა. გადაწვრთნის ნიშნების გამოვლინებისას სპორტსმენი სხვა სახეობაზე უნდა გადავიდეს, ზოგჯერ კი საჭიროა 1-2 თვე დასვენება. რომ თავი დავაღწიოთ გადაწვრთნას, საჭიროა სისტემატური თვითკონტროლის დაწესება ჯანმრთელობის მდგომარეობასა და წვრთნის რეჟიმის დაცვაზე.

ზ. თელია,
ექიმი.



შედეგიანი კალათბურთელები

კალათბურთელთა ოლიმპიურმა ტურნირმა გამოავლინა ყველაზე უფრო შედეგიანი მოთამაშეები. აა ისინი: მოგლია (ურუგვაი) — 182 (568), რადევი (ბულგარეთი) — 137 (573), რასელი (აშშ) — 113 (793), მირჩევი (ბულგარეთი) — 109 (573), ჯანგერარდი (აშშ) — 99 (793), გრანჟე — (საფრანგეთი) — 98 (542), მარჯიო (ბრაზილია) — 91 (501), ტომსილი (აშშ) — 89 (793), სტონკუსი (სსრკ) 80 (574), ბენიო (საფრანგეთი) — 79 (542).

ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვი აღნიშნავს გუნდების მიერ ოლიმპიურ ტურნირში გატანილი ბურთების რაოდენობას.

ყველაზე შორს

მსოფლიოში ყველაზე დიდი სიმძლავრის ტრამპლინები გერმანიასა და იუგოსლავიაშია (ობერსდორფსა და პლანიცაში). აღნიშნული ქალაქების ტრამპლინებიდან 100 მეტრზე უფრო შორს ხტომა შეიძლება. 1951 წელს 19 წლის ფინელმა ტაუნო ლუირომ ობერსდორფის ტრამპლინიდან შესრულა 139-მეტრიანი ნახტომი, რაც მსოფლიო რეკორდად ითვლება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოფიციალური შეჯიბრებები ასეთი დიდი სიმძლავრის ტრამპლინზე იშვიათად ტარდება, მაგრამ დღემდე მსოფლიოს 29 მხტომელმა მოახერხა 120 მეტ ზე უფრო შორს გადახტომა და მა შორის რვამ — 130 მეტრზე უფ შორს. ესენი არიან ტაუნო ლუი (ფინეთი) — 139 მეტრი, დან ნეტ ლი (შვეცია) — 135 მეტრი, ფრ შნეიდერი (შვეიცარია) — 133 მე რი, სეპ ვეილერი (გფრ) — 133 მე რი, ტოივო ლაურენი (შვეცია) — 131 მეტრი, ანდრე დეშერი (შვეიც რია) — 130 მეტრი, სეპ ბრადლ (ავსტრია) — 130 მეტრი, ჟაკ ალ რედსენი (ნორვეგია) — 130 მეტ

მიმდინარე სეზონში საუკეთე შედეგი ნაჩვენები აქვს 20 წლის ჰე მუტ რეკნაგელს (გდრ), რომელმ ამ ცოტა ხნის წინ პლანიცას ტრამ ლინიდან შეასრულა 124-მეტრია ნახტომი.

ჟურნალისტიკა ოლიმპიური სახეობაა

რომის საქალაქო მაგისტრატმა დ ადგინა ოლიმპიური თამაშების პარ ლელურად ჩაატაროს ხელოვნება ოლიმპიური კონკურსიც (მხატვრო ქანდაკება და ა. შ.). განზრახულ ამ კონკურსში ჩართულ იქნას ჟუ ნალისტიკაც. მონაწილეობის მსურ ლეებმა თავიანთი ანგარიშები და რ პორტაჟი უნდა წარადგინონ სპეც ლურ კომისიაში. მაგისტრატმა მი რთა საერთაშორისო ოლიმპიურ მიტეტს, რათა ჟურნალისტიკა ჩა თულ იქნას კონკურსის პროგრამა

პატო

ცხენოსანთა ერთი ჯგუფი გიჟური ქროლვით მისდევს მეორეს. მხედართა პირველ ჯგუფს წარმოადგენს სასიძო და მისი მეგობრები, რომელთა მიზანია ცხენზე ამხედრებულ სარძლოს გარკვეულ მიჯნამდე გადასცენ ცოცხალი მამალი, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილია, რადგან მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევენ დამხვდურები — სარძლოს ნაცნობ-მეგობართა სახით.

ასე გადმოგვცემს ერთ-ერთი არგენტინული ფილმი ნაციონალური თამაშის პატოს წარმოშობას. ეს თამაში ხშირად ისეთი მძაფრი ტრაგედიით მთავრდებოდა, რომ ეკლესია უარს ამბობდა დახოცილთა დასაფლავებაზე, ამიტომ მთავრობამ იგი სპეციალური განკარგულებით აკრძალა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამ თამაშმა მიიღო სპორტული შეჯიბრების სახე, რომელსაც მტკიცედ დადგენილი წესები აქვს. ახლა პატო სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა არგენტინაში ფეხბურთის შემდეგ.

პატოს თამაშის ერთ-ერთი დამსწრე ი. ბესარაბოვი შემდეგნაირად აგვიწერს მას: არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის მახლობლად ჩვენ ვუყურეთ პატოს თამაშს, რომელიც არგენტინის ნაციონალური სპორტია. იგი კალათბურთს მოგვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბურთისათვის ბრძოლა წარმოებს ცხენებით. მოედანი დაახლოებით ფეხბურთის მოედნის ოდენაა, რომ მოპირდაპირე ორ მხარეზე დადგ ლია კალათები. მოედანზე გამო ორი გუნდი ოთხ-ოთხი ცხენოსან თამაშის მიზანია ბურთის ჩაგდ მოწინააღმდეგის კალათში. ეს თა ში ექვს ტაიმად არის დაყოფი ყოველი ტაიმი 8 წუთს გრძელდ ეს შესვენებები გამოწვეულია გარემოებით, რომ 8-წუთიანი გა ფებული ჭენების შემდეგ ცხე გამოცვლა ესაჭიროება.

არგენტინის ეს ნაციონალური მაში მოგვაგონებს ქართულ ც ბურთს, ოღონდ ამ უკანასკნ წარმოშობის უფრო ჰუმანური ყისები აქვს.

რედაქტორი Ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-26.
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01395